ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №764261

ნომერი: AR1131492

თარიღი : 15.05.2013

გაცემის თარიღი : 05.07.2013

გაცნობის თარიღი : 10.04.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მ. კოსტავას , N 70 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2013 წლის 15 მაისის და განმეორებით 24 ივნისის AR1131492 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, კოსტავას ქუჩა #70–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით #01.10.13.031.002) სავაჭრო – საოფისე შენობის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ:

საპროექტოდ შერჩეული მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)–ში. ტერიტორია წარმოადგენს ქალაქისთვის მნიშვნელოვან გამწვანებულ, მოწესრიგებულ სივრცეს, რომლის დიდი ნაწილი დაფარულია ხე–ნარგავებით და დატვირტულია სერვიტუტით.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები" ითვალისწინებს შენობა–ნაგებობების პროექტირებისას სხვადასხვა სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვას, როგორიცაა მაგალითად ხე–ნარგავების შენარჩუნება, მანქანების პარკირება, სამეზობლო მიჯნების დაცვა და სხვა, რაც წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ვერ ხერხდება, რადგან, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1 (სზ–1)–ის, სერვიტუტის და ხე–ნარეგავების არსებობა ზღუდავს ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების არეალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოცემული ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge